პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა

ᲙᲠᲔᲓᲝ ᲑᲐᲜᲙᲘ
CREDO BANK

კრედო ბანკის შესახებ

სს „კრედო ბანკი“ (შემდგომში „ბანკი“) არის კომერციული ბანკი, რომელიც ლიცენზირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ბანკის საიდენტიფიკაციო ნომერი: 205232238.

მისამართი: რ. თაბუკაშვილის ქ. 27, 0108, თბილისი, საქართველო.

დამატებითი ინფორმაციის იხილეთ.

დოკუმენტის მიზანი და მოქმედების სფერო:

ეს დოკუმენტი ეხება ბანკში არსებულ პოლიტიკებს, პროცედურებსა და უსაფრთხოების ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქმედებს პერსონალურ მონაცემებზე არასანქცირებული წვდომის გამორიცხვის მიზნით. ის მოიცავს მონაცემებს, რომლებსაც ბანკი იღებს თქვენგან, როგორც კლიენტისგან და რომლებიც ასევე გამოიყენება პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დოკუმენტი განმარტავს პრინციპებს, რომლებსაც ჩვენ ვიცავთ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას და იმას, თუ როგორ გიცავთ კანონი, რომელიც შეესაბამება მოწინავე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას, მათ შორის ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) პრინციპებს.

ეს დოკუმენტი ვრცელდება ყველა მონაცემთა სუბიექტზე, რომელთა მონაცემებსაც ამუშავებს ბანკი, მათ შორის, ბანკის კლიენტებზე (არსებული, ყოფილი და პოტენციური, ასევე მათი ოფიციალური წარმომადგენლები), ბანკის თანამშრომლებსა და აპლიკანტებზე, და სხვა მონაცემთა სუბიექტებზე, რომელთა მონაცემებიც მუშავდება „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ბანკი გაძლევთ პირობას, რომ:

- შევინახავთ თქვენს მონაცემებს უსაფრთხოდ და კონფიდენციალურობის დაცვით;
- არ მოხდება თქვენი მონაცემების უკანონო გამოყენება;
- თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება მოხდება საქართველოს კანონმდებლობისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, მათ შორის „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი დამუშავების პრინციპების მიხედვით;

- თქვენი მონაცემების შენახვა უსაფრთხო გარემოში და მათი გაცვლა უსაფრთხო საკომუნიკაციო არხებით, საერთაშორისოდ აღიარებული მონაცემთა უსაფრთხოების სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად მოხდება;
- თქვენი პერსონალური ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებით ინფორმაციას მოგაწვდით სრულად და ამომწურავად.

პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ბანკი ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

- მონაცემები მუშავდება კანონიერად, სამართლიანად და გამჭვირვალედ მონაცემთა სუბიექტთან მიმართებით, კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გამონაკლისი შემთხვევების გათვალისწინებით (**კანონიერება, სამართლიანობა და გამჭვირვალობა**);

- მონაცემები უნდა შეგროვდეს/მოპოვებული უნდა იქნეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და ლეგიტიმური მიზნებისთვის. ბანკი არ ამუშავებს მონაცემებს სხვა მიზნებისთვის, რომლებიც შეუთავსებელია პირველად მიზნებთან (**მიზნის შეზღუდვა**);

- მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. მონაცემები იმ მიზნის თანაზომიერი უნდა იყოს, რომლის მისაღწევადაც ისინი მუშავდება ბანკის მიერ (**მონაცემთა მინიმიზაცია**);

- მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და, საჭიროების შემთხვევაში, განახლებული (**ნამდვილობა, სიზუსტე და განახლებადობა**);

- მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა წაიშალოს, განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს დეპერსონალიზებული ფორმით, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა ან/და იმ შემთხვევისა, როდესაც მონაცემთა შენახვა აუცილებელი და პროპორციული ზომაა დემოკრატიულ საზოგადოებაში აღმატებული ინტერესების დასაცავად (შენახვის შეზღუდვა).

- მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებისას ბანკი იღებს ისეთი ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან (**კონფიდენციალურობა, მთლიანობა, ხელმისაწვდომობა**)

დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები:

ჩვენი კონფიდენციალურობის პირობის გარდა, თქვენი კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემები დაცულია „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით („კანონი“). კანონის თანახმად, მონაცემთა დამუშავება კანონიერია, თუ არსებობს შემდეგი საფუძვლებიდან ერთი ან მეტი:

- თქვენ განაცხადეთ თანხმობა თქვენ შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია ჩვენსა და თქვენს შორის დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან თქვენი მოთხოვნით გარიგების დასადებად;
- მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;
- მონაცემთა დამუშავება საჭიროა ბანკის მიერ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;
- კანონის თანახმად, მონაცემი საჯაროდ ხელმისაწვდომია ან თქვენ იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადეთ;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია თქვენი ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია ჩვენი ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის (მათ შორის, არასრულწლოვანის) უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია თქვენს მიერ წარმოდგენილი განცხადების განსახილველად (მომსახურების გასაწევად).

კანონი ასევე განსაზღვრავს გარკვეული სენსიტიური (განსაკუთრებული კატეგორიის) მონაცემების დამუშავების საფუძვლებს კონკრეტულ პირობებში. ჩვენ ამას მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში და კანონით განსაზღვრული პირობების შესაბამისად ვაკეთებთ.

კანონი ასევე გაძლევთ გარკვეულ უფლებებს, როგორც მონაცემთა სუბიექტს. ამ უფლებების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ სექცია „თქვენი უფლებები“.

რა ტიპის პერსონალურ ინფორმაციას ვამუშავებთ:

ჩვენ ვამუშავებთ სხვადასხვა ტიპის პერსონალურ ინფორმაციას და ვაკლასიფიცირებთ შემდეგ კატეგორიებად:

პერსონალური მონაცემების ტიპი	რა კონკრეტულ მონაცემებს შეიძლება გულისხმობდეს ეს
მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია	სახელი, გვარი, პირადობის მოწმობის ნომერი, ხელმოწერა, დაბადების თარიღი და ადგილი, პასპორტის დეტალები, ფოტოსურათი, პირადობის/მოქალაქეობის დეტალები
საკონტაქტო მონაცემები	იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, საკონტაქტო ინფორმაცია საგანგებო სიტუაციებისთვის, საფოსტო მისამართი
ფინანსური ინფორმაცია	ფინანსური მდგომარეობის, ტრანზაქციების, საკრედიტო ქულებისა და საკრედიტო ისტორიის, შემოსავლის დეტალების, აქტივების, ვალდებულებების, სესხებისა და იპოთეკური სესხების შესახებ ინფორმაციის, გადახდების ისტორიის შესახებ დეტალები
საკონტრაქტო მონაცემები	ჩვენს მიერ თქვენთვის მოწოდებული პროდუქტებისა და მომსახურების დეტალები, ინფორმაცია სხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან არსებული კონტრაქტების შესახებ
აუდიოვიზუალური მონაცემები	ჩვენი დისტანციური მომსახურების სისტემებისა და შიდა საკომუნიკაციო სისტემების გამოყენებით ჩაწერილი სატელეფონო საუბრები, ვიზუალური და აუდიო მეთვალყურეობის კამერების ჩანაწერები და კადრები

სოციალურ-დემოგრაფიული ინფორმაცია	ინფორმაცია დასაქმების, მოქალაქეობის, განათლების, სოციალური სტატუსის, ოჯახური მდგომარეობის, ოჯახის წევრების შესახებ
მონაცემები ტრანზაქციების შესახებ	ანგარიშის შესახებ ინფორმაცია, ანგარიშებზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაცია, პროდუქტები/მომსახურებები, გადახდების ისტორია
მონაცემები ლოკაციის შესახებ	თქვენი მობილური ტელეფონიდან მიღებული ლოკაციის შესახებ ინფორმაცია, თქვენს ინტერნეტ კავშირთან დაკავშირებული მისამართი, როდესაც ონლაინ სერვისებზე გაქვთ წვდომა და/ან ბარათით შესყიდვების მონაცემები
ქცევითი და გამოყენების შესახებ მონაცემები	ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ურთიერთობთ გარკვეულ პროდუქტებსა და მომსახურებებთან
არასრულწლოვნებთან დაკავშირებული მონაცემები	არასრულწლოვანთა შესახებ მონაცემები, რომლებიც მუშავდება მისი თანხმობის საფუძველზე, თუ მან მიაღწია 16 წლის ასაკს ან მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით (16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნები), გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა
გარდაცვლილი პირის მონაცემები	ბანკი გარდაცვლილი ფიზიკური პირის მონაცემებს მხოლოდ იმ შემთხვევაში ამუშავებს, თუ არსებობს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი
ტექნოლოგიური და ტექნიკური მონაცემები	ინფორმაცია თქვენს მიერ გამოყენებული მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების შესახებ (მათ შორის IP მისამართები, აპლიკაციის ლოგები და ლოგების ჩანაწერები, ქუქი-ფაილები, მდებარეობის შესახებ ინფორმაცია და სხვა დაკავშირებული მონაცემები)
საკომუნიკაციო მონაცემები	კომუნიკაცია წერილების, ელექტრონული ფოსტის, ჩატების, SMS-ების ან ჩვენს შორის სხვა საუბრების მეშვეობით
მონაცემები დოკუმენტების შესახებ	სხვადასხვა სახის დოკუმენტებში და მათ ასლებში (მაგ., პასპორტი, პირადობის მოწმობა, დაბადების მოწმობა, მართვის მოწმობა და სხვა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები) ჩაწერილი თქვენს შესახებ დეტალები
საჯარო მონაცემები	საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან მიღებული მონაცემები
მონაცემები დამუშავებული მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად	მონაცემები, რომელთა დამუშავებაც საჭიროა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ, KYC-ის და AML კანონმდებლობის მოთხოვნებით)
განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები	კანონის მოთხოვნების/შეზღუდვების გათვალისწინებით - ჯანმრთელობის შესახებ მონაცემები, ბრალდებულის, მსჯავრდებული ან გამართლებული პირის ან სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის სტატუსი, გამამტყუნებელი განაჩენი, ნასამართლეობა, განრიდება, დაზარალებულად ცნობა, დაკავება და მისი სასჯელის აღსრულება, ან მისი ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები

პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნები

ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს შემდეგი პირველადი მიზნებისთვის:

1. **თქვენთან ურთიერთობის ეფექტურად მართვისთვის:**

   ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს თქვენთან ურთიერთობის ეფექტურად მართვის, კომუნიკაციის გაუმჯობესებისა და პერსონიზირებული მომსახურების უზრუნველსაყოფად. ეს ასევე მოიცავს მომხმარებელთა კმაყოფილების გაუმჯობესებას შეკითხვებზე პასუხის გაცემისა და საჩივრების მოგვარების გზით. ჩვენ ასევე ვამუშავებთ თქვენს მონაცემებს სახელშეკრულებო შეთანხმებებით გათვალისწინებული ჩვენი ვალდებულებების შესასრულებლად და იმისთვის, რომ უზრუნველვყოთ შესაბამისობა შესაბამის პირობებსა და წესებთან. გარდა ამისა, ჩვენ ვიყენებთ პერსონალურ მონაცემებს თქვენთვის მნიშვნელოვანი მიმოწერისა და შეტყობინებების გამოსაგზავნად, რათა გაცნობოთ თქვენს ანგარიშთან და მომსახურებასთან დაკავშირებული სიახლეებისა და შესაბამისი ინფორმაციის შესახებ.

2. **თქვენი საჭიროებებისა და სურვილების ეფექტურად დასაკმაყოფილებლად:**

   ჩვენ ვიყენებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს თქვენი საჭიროებებისა და სურვილების უკეთ გასაგებად და დასაკმაყოფილებლად, თანამშრომლობის ახალი გზების დასადგენად. ეს ასევე მოიცავს იმის შეფასებას, თუ როგორ ურთიერთობთ ჩვენს პროდუქტებთან და მომსახურებებთან, რათა გავაუმჯობესოთ ჩვენი შეთავაზებები. ჩვენ ასევე ვიღებთ ექსპერტულ მოსაზრებებს ჩვენი პროდუქტებისა და მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად და ვაანალიზებთ ტრანზაქციულ მონაცემებს, საკრედიტო ისტორიასა და სხვა შესაბამის ინფორმაციას ჩვენი საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების უწყვეტი განვითარების მიზნით. გარდა ამისა, ჩვენ ვამუშავებთ გარკვეულ მონაცემებს სესხის განაცხადებთან და საქმიან ურთიერთობებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკების შესაფასებლად და სამართავად, ფინანსური, ტრანზაქციასთან დაკავშირებული და სხვა მონაცემების შეფასების გზით.

3. **ჩვენი პროდუქტებისა და მომსახურების მოწოდებისთვის:**

   ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების ეფექტურად მიწოდებისა და მართვის მიზნით. ეს მოიცავს კლიენტების გადახდების დამუშავებასა და მონიტორინგს, ტრანზაქციების, სესხების პორტფელების მართვასა და დამუშავებას და კლიენტების ანგარიშების ადმინისტრირებას. გარდა ამისა, პერსონალური მონაცემები გამოიყენება ისეთი აუცილებელი საქმიანობისთვის, როგორიცაა ანგარიშის გახსნა, თანხების გადარიცხვები და ტრანზაქციების განხორციელება, ასევე კლიენტთა მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად და ფინანსური ტრანზაქციების

უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, თქვენი პერსონალური მონაცემები შეიძლება დამუშავდეს საინვესტიციო და ქონების მართვის სერვისების ხელშეწყობისა და ციფრული საბანკო გადაწყვეტილებების მოწოდების მიზნით.

4. **ბიზნესის ეფექტურობის, ეფექტიანობისა და ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად:**

ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი ბიზნეს ოპერაციების ოპტიმიზაციისთვის, ეფექტიანობის, შესაბამისობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ეს მოიცავს ფინანსური რესურსების მართვას, სტრატეგიულ დაგეგმვას, რისკების შემცირებას, ანგარიშგებას, აუდიტს, მონაცემთა უსაფრთხოებას და ეფექტურ მართვას. ჩვენ შეიძლება თქვენი მონაცემები ასევე დავამუშვოთ ჩვენი მუშაობის გასაუმჯობესებლად, თქვენი გამოცდილებისა და კმაყოფილების გასაუმჯობესებლად, ასევე პოტენციური ინციდენტების თავიდან ასაცილებლად და ეფექტურად სამართავად და თქვენი უფლებების დასაცავად.

5. **მარკეტინგისა და ბრენდის მართვის მიზნები:**

ჩვენ შესაძლოა, თქვენი პერსონალური მონაცემები დავამუშავოთ ეფექტური მარკეტინგული სტრატეგიებისა და აქტივობების შესამუშავებლად და განსახორციელებლად, ჩვენი ბრენდის გასაძლიერებლად და შესაბამისი პროდუქტებისა და მომსახურების მოწოდების მიზნით. ეს ასევე მოიცავს ბაზრის კვლევების ჩატარებას, მომხმარებლის უპირატესობების ანალიზს და ჩვენი შეთავაზებების მომხმარებლის საჭიროებებსა და უპირატესობებზე მორგებას (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „პირდაპირი მარკეტინგი“).

6. **რისკების ეფექტური მართვის უზრუნველსაყოფად**

ჩვენ შეგვიძლია, თქვენი პერსონალური მონაცემები დავამუშაოთ რისკების (ჩვენთან და თქვენთან დაკავშირებული რისკების) მართვისა და შემცირებისა და ფინანსური დანაშაულის თავიდან ასაცილებლად. ეს მოიცავს ფინანსური და საოპერაციო რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებასა და მართვას, ასევე უსაფრთხოების მკაცრი და ეფექტური ზომების დანერგვას. ასევე, ჩვენ შეგვიძლია, მონაცემები დავამუშაოთ მუდმივი მონიტორინგისა და ანგარიშგების განსახორციელებლად, რათა გამოვავლინოთ და თავიდან ავიცილოთ თაღლითობის, ფულის გათეთრების ან სხვა უკანონო საქმიანობის შემთხვევები.

7. **სამართლებრივ და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად**

ჩვენ შეგვიძლია, თქვენი პერსონალური მონაცემები დავამუშავოთ მოქმედი კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად. ეს მოიცავს კანონით მოთხოვნილი საზედამხედველო ორგანოებისა და აუდიტორებისთვის მონაცემებზე

წვდომის უზრუნველყოფას. ჩვენ ასევე ვიყენებთ პერსონალურ მონაცემებს ჩვენი სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად, ასევე, სათანადო ქცევისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად ყველა შესაბამისი სამართლებრივი მოთხოვნის დაცვით. გარდა ამისა, თქვენი მონაცემები გამოიყენება ჩვენი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, რაც მოიცავს სამართლებრივი დავების განხილვას, სესხების ამოღებასა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვას. ეს მოიცავს პრეტენზიების კვლევას, სამართლებრივ საკითხებზე რეაგირებას და სამართლებრივი პროცესების მართვას.

8. ქონებისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად

ჩვენ შესაძლოა, თქვენი მონაცემები დავამუშაოთ და გამოვიყენოთ აუდიოვიზუალური, ტექნიკური და სხვა მონაცემები დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, საზოგადოებრივი და პირადი უსაფრთხოების დასაცავად და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ჩვენი ოპერაციების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

თუ კლიენტი იურიდიული პირია, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, დავამუშავოთ წარმომადგენლის პერსონალური მონაცემები კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულების, ბანკის ლეგიტიმური ინტერესების დაცვის და/ან ზემოაღნიშნული იურიდიული პირისთვის მომსახურების გაწევის, ასევე პირდაპირი მარკეტინგული შეთავაზებებისა და საბანკო მომსახურების შესახებ ინფორმაციის/წინადადებების მიწოდების მიზნით.

რა შეიძლება იყოს ჩვენი ლეგიტიმური ინტერესები/მიზნები თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას:

- კლიენტების/ვიზიტორების მომხმარებლის გამოცდილების პერსონალიზება და გაუმჯობესება;
- საბანკო მომსახურების უსაფრთხო და შეუფერხებელი ფუნქციონირების, კლიენტის მოთხოვნებისა და დავალებების სათანადო და დროული შესრულებისა და შესაბამისი საბანკო პროდუქტებისა და მომსახურებების სათანადო მიწოდების უზრუნველყოფა;
- ახალი პროდუქტების/მომსახურების შემუშავება ან კლიენტებისთვის პერსონიზირებული პროდუქტების გაუმჯობესება და შეთავაზება;
- თქვენი ვინაობის დადასტურება, ეფექტური კომუნიკაცია და პერსონიზირებული მომსახურების მიწოდება.

- ჩვენი სამართლებრივი და სახელშეკრულებო უფლებების ეფექტური აღსრულება;
- ჩვენი (მათ შორის, ჩვენი თანამშრომლების) მუშაობის შეფასება თქვენი ჩვენთან გამოცდილებისა და კმაყოფილების გასაუმჯობესებლად, პოტენციური ინციდენტების თავიდან ასაცილებლად და ეფექტურად მართვისა და თქვენი უფლებების დასაცავად;
- დავის შემთხვევაში, სამართლებრივი ქმედებების ეფექტური დაწყება და მათზე რეაგირება;
- მომხმარებელთა უკუკავშირის ეფექტური ანალიზი მომხმარებლის კმაყოფილების გასაუმჯობესებლად;
- სამართლებრივი/მარეგულირებელი მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების დაცვის უზრუნველყოფა;
- მომხმარებელთა მოთხოვნებისა და საჩივრების ეფექტური და ეფექტიანი მართვა.
- ფინანსური დანაშაულების, როგორიცაა თაღლითობა, ფულის გათეთრება და ტერორიზმის დაფინანსება, პრევენცია, გამოვლენა და მათზე რეაგირება.
- რისკების, მათ შორის ოპერაციული რისკების, ეფექტური შემცირება და მართვა;
- ზუსტი და უტყუარი ჩანაწერების წარმოება და ოპერაციული სტაბილურობის უზრუნველყოფა;
- ეფექტური ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა კონფიდენციალური ინფორმაციის დაკარგვის, არა-ავტორიზებული წვდომის ან დაზიანებისგან დასაცავად;
- უსაფრთხო სისტემების უზრუნველყოფა ბანკის, თქვენი და მესამე მხარეების ფინანსური რესურსებისა და აქტივების დასაცავად;
- ეფექტური მარკეტინგული სტრატეგიების დაგეგმვა და მარკეტინგული აქტივობების განხორციელება მომხმარებლის გამოცდილების გასაუმჯობესებლად.
- სცენარების ეფექტური მართვა, რომლიც მოიცავს რესტრუქტურიზაციას, შესყიდვებს ან სხვა მნიშვნელოვან ცვლილებებს.
- ინციდენტების ეფექტური მართვა და მათზე რეაგირება, პროცესების მონიტორინგი და რისკების შეფასება ოპერაციული მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მომხმარებლის უფლებების დაცვა ინციდენტების დროს და ინციდენტების შემდეგ.

დამუშავების მიზნების, მონაცემების ტიპების, ბანკის ლეგიტიმური ინტერესებისა და სამართლებრივი საფუძვლების ურთიერთმიმართება:

როგორ მიემართება დამუშავების მიზნები ბანკის მიერ დამუშავებული პერსონალური მონაცემების ტიპებს:

დამუშავების მიზანი	პერსონალური მონაცემების ტიპი
კლიენტებთან ურთიერთობის ეფექტურად მართვა	მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, საკონტაქტო ინფორმაცია, ფინანსური ინფორმაცია, სახელშეკრულებო მონაცემები, ტრანზაქციის შესახებ მონაცემები, კომუნიკაციის შესახებ მონაცემები, ქცევითი და გამოყენების შესახებ მონაცემები, სოციალურ-დემოგრაფიული ინფორმაცია, ლოკაციის მონაცემები
თქვენი საჭიროებების და უპირატესობების ეფექტურად დაკმაყოფილება	მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, საკონტაქტო ინფორმაცია, ფინანსური ინფორმაცია, ტრანზაქციის შესახებ მონაცემები, ქცევითი და გამოყენების შესახებ მონაცემები, სოციალურ-დემოგრაფიული, ტექნოლოგიური და ტექნიკური მონაცემები
ჩვენი პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდება	ტექნოლოგიური და ტექნიკური მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაცია, ფინანსური ინფორმაცია, სახელშეკრულებო ინფორმაცია, ტრანზაქციის შესახებ მონაცემები, კომუნიკაციის შესახებ მონაცემები, ლოკაციის მონაცემები, ტექნოლოგიური და ტექნიკური მონაცემები, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები (კერძოდ, ბიომეტრიული)
ბიზნესის ეფექტურობის, ეფექტიანობისა და ეფექტური მმართველობის უზრუნველყოფა	მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, საკონტაქტო ინფორმაცია, ფინანსური ინფორმაცია, სახელშეკრულებო მონაცემები, ტრანზაქციის შესახებ მონაცემები, კომუნიკაციის შესახებ მონაცემები, ტექნოლოგიური და ტექნიკური მონაცემები, დოკუმენტური მონაცემები, აუდიოვიზუალური მონაცემები
მარკეტინგისა და ბრენდის მართვის მიზნები	მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, საკონტაქტო ინფორმაცია, ფინანსური ინფორმაცია, ქცევითი და გამოყენების შესახებ მონაცემები, სოციალურ-დემოგრაფიული ინფორმაცია, ტრანზაქციების და კომუნიკაციის შესახებ მონაცემები;
რისკების ეფექტური მართვის უზრუნველყოფა	მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, საკონტაქტო ინფორმაცია, ფინანსური ინფორმაცია, სახელშეკრულებო მონაცემები, ტრანზაქციის შესახებ მონაცემები, ქცევითი და გამოყენების მონაცემები, ლოკაციის მონაცემები, ტექნოლოგიური მონაცემები, საკომუნიკაციო მონაცემები, დოკუმენტური მონაცემები, საჯარო მონაცემები, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები.
სამართლებრივ და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა	პერსონალური მონაცემის ყველა ტიპი

ქონებისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა	მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, საკონტაქტო ინფორმაცია, აუდიოვიზუალური მონაცემები, ტექნოლოგიური მონაცემები, ლოკაციის შესახებ მონაცემები

როგორ მიემართება დამუშავების მიზნები ბანკის ლეგიტიმურ ინტერესებსა და სამართლებრივ საფუძვლებს:

დამუშავების მიზანი	რა სამართლებრივი საფუძვლები და ლეგიტიმური ინტერესები შეიძლება ჰქონდეს ბანკს კონკრეტულ დამუშავების მიზანთან მიმართებით:
კლიენტებთან ურთიერთობის ეფექტურად მართვა **თქვენი საჭიროებების და უპირატესობების ეფექტურად დაკმაყოფილება** **ჩვენი პროდუქტებისა და მომსახურების მიწოდება** **ბიზნესის ეფექტურობის, ეფექტიანობისა და ეფექტური მმართველობის უზრუნველყოფა**	**სამართლებრივი საფუძვლები:** · თქვენი თანხმობა; · სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება; · ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი; · ჩვენი სამართლებრივი ვალდებულებები · ჩვენი ძირითადი ბიზნეს საქმიანობის განხორციელება (ბიომეტრიულ მონაცემებთან დაკავშირებით) **ლეგიტიმური ინტერესები:** · კლიენტების/ვიზიტორების მომხმარებლის გამოცდილების პერსონალიზება და გაუმჯობესება; · ახალი პროდუქტების/მომსახურების შემუშავება ან კლიენტებისთვის პერსონიზირებული პროდუქტების გაუმჯობესება და შეთავაზება; · თქვენი ვინაობის დადასტურება, ეფექტური კომუნიკაცია და პერსონიზირებული მომსახურების მიწოდება. · ჩვენი სამართლებრივი და სახელშეკრულებო უფლებების ეფექტური აღსრულება; · მომხმარებელთა უკუკავშირის ეფექტური ანალიზი მომხმარებლის კმაყოფილების გასაუმჯობესებლად; · მომხმარებელთა მოთხოვნების, საჩივრებისა და მომსახურების მოთხოვნების ეფექტური და ეფექტური მართვა. · ზუსტი და უტყუარი ჩანაწერების წარმოება და ოპერაციული სტაბილურობის უზრუნველყოფა;

მარკეტინგისა და ბრენდის მართვის მიზნები	· ეფექტური მარკეტინგული სტრატეგიების დაგეგმვა და მარკეტინგული აქტივობების განხორციელება მომხმარებლის გამოცდილების გასაუმჯობესებლად. · ჩვენი (მათ შორის, ჩვენი თანამშრომლების) მუშაობის შეფასება თქვენი ჩვენთან გამოცდილებისა და კმაყოფილების გასაუმჯობესებლად, პოტენციური ინციდენტების თავიდან ასაცილებლად და ეფექტურად მართვისა და თქვენი უფლებების დასაცავად;
რისკების ეფექტური მართვის უზრუნველყოფა	**სამართლებრივი საფუძვლები:** · სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება; · ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი; · ჩვენი სამართლებრივი ვალდებულებები. **ლეგიტიმური ინტერესები:** · ჩვენი სამართლებრივი და სახელშეკრულებო უფლებების ეფექტური აღსრულება; · დავის შემთხვევაში, სამართლებრივი ქმედებების ეფექტური დაწყება და მათზე რეაგირება; · სამართლებრივი/მარეგულირებელი მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების დაცვის უზრუნველყოფა; · ფინანსური დანაშაულების, როგორიცაა თაღლითობა, ფულის გათეთრება და ტერორიზმის დაფინანსება, პრევენცია, გამოვლენა და მათზე რეაგირება. · რისკების, მათ შორის, ოპერაციული რისკების ეფექტური შემცირება და მართვა; · ეფექტური ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა კონფიდენციალური ინფორმაციის დაკარგვის, არაავტორიზებული წვდომის ან დაზიანებისგან დასაცავად; · უსაფრთხო სისტემებისა და ქსელების უზრუნველყოფა ბანკის, თქვენი და მესამე მხარეების ფინანსური რესურსებისა და აქტივების დასაცავად; · რესტრუქტურიზაციის, შესყიდვების ან სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებების ჩათვლით სცენარების ეფექტური მართვა. · ინციდენტების ეფექტური მართვა და მათზე რეაგირება, პროცესების მონიტორინგი და რისკების შეფასება ოპერაციული მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მომხმარებლის უფლებების დაცვა ინციდენტების დროს და მის შემდეგ.

სამართლებრივ და მარეგულირებელ აქტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა

სამართლებრივი საფუძვლები:

- ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი;
- ჩვენი სამართლებრივი ვალდებულებები.

ლეგიტიმური ინტერესები:

- ჩვენი სამართლებრივი და სახელშეკრულებო უფლებების ეფექტური აღსრულება;
- დავის შემთხვევაში, სამართლებრივი ქმედებების ეფექტური დაწყება და მათზე რეაგირება;
- სამართლებრივი/მარეგულირებელი მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების დაცვის უზრუნველყოფა;
- ფინანსური დანაშაულების, როგორიცაა თაღლითობა, ფულის გათეთრება და ტერორიზმის დაფინანსება, პრევენცია, გამოვლენა და მათზე რეაგირება.
- რისკების, მათ შორის ოპერაციული რისკების, ეფექტური შემცირება და მართვა;
- ეფექტური ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა კონფიდენციალური ინფორმაციის დაკარგვის, არაავტორიზებული წვდომის ან დაზიანებისგან დასაცავად;
- უსაფრთხო სისტემებისა და ქსელების უზრუნველყოფა ბანკის, თქვენი და მესამე მხარეების ფინანსური რესურსებისა და აქტივების დასაცავად;
- რესტრუქტურიზაციის, შესყიდვების ან სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებების ჩათვლით სცენარების ეფექტური მართვა.
- ინციდენტების ეფექტური მართვა და მათზე რეაგირება, პროცესების მონიტორინგი და რისკების შეფასება ოპერაციული მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მომხმარებლის უფლებების დაცვა ინციდენტების დროს და მის შემდეგ.

ქონებისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა	**სამართლებრივი საფუძვლები:** · თქვენი თანხმობა; · ჩვენი ლეგიტიმური ინტერესი; · ჩვენი სამართლებრივი ვალდებულებები **ლეგიტიმური ინტერესები:** · ჩვენი სამართლებრივი და სახელშეკრულებო უფლებების ეფექტური აღსრულება; · ჩვენი (მათ შორის ჩვენი თანამშრომლების) მუშაობის შეფასება თქვენი ჩვენთან გამოცდილებისა და კმაყოფილების გასაუმჯობესებლად, პოტენციური ინციდენტების თავიდან ასაცილებლად და ეფექტურად მართვისა და თქვენი უფლებების დასაცავად; · რისკების, მათ შორის ოპერაციული რისკების, ეფექტური შემცირება და მართვა; · ეფექტური ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა კონფიდენციალური ინფორმაციის დაკარგვის, არა-ავტორიზებული წვდომის ან დაზიანებისგან დასაცავად; · უსაფრთხო სისტემებისა და ქსელების უზრუნველყოფა ბანკის, თქვენი და მესამე მხარეების ფინანსური რესურსებისა და აქტივების დასაცავად; · ინციდენტების ეფექტური მართვა და მათზე რეაგირება, პროცესების მონიტორინგი და რისკების შეფასება ოპერაციული მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მომხმარებლის უფლებების დაცვა ინციდენტების დროს და მის შემდეგ.

როგორ მოვიპოვებთ თქვენს მონაცემებს?

თქვენ შესახებ ინფორმაციას შემდეგი წყაროებიდან ვიღებთ:

- **უშუალოდ თქვენგან:**
  - როდესაც ხდებით ჩვენი პროდუქტებისა და სერვისების (მათ შორის ონლაინ სერვისების) მომხმარებელი ან იყენებთ მათ;
  - ჩვენთან კომუნიკაციისას (ტელეფონზე ზარების, ფილიალებში ვიზიტების, პოსტების/ელფოსტის გაგზავნის, ციფრული არხების (ვებ-გვერდები, მობილური აპლიკაციები, ონლაინ ჩატი), ვიდეოზარების, სოციალური მედიის ან სხვა არხების მეშვეობით);

- ჩვენთვის დოკუმენტების ან ინფორმაციის მოწოდებისას (მაგალითად, შესაბამისი ფორმების შევსება, პროდუქტებზე ან მომსახურებებზე განაცხადის დაფიქსირება, ჩვენი პროდუქტების ან სერვისების შესახებ ინფორმაციის მიღება, შესაბამის კონკურსებში ან გამოკითხვებში მონაწილეობა).
- ფინანსური ტრანზაქციების განხორციელება, კონტრაქტის ხელმოწერა ან ღია საბანკო სისტემის გამოყენება;
- პირდაპირი მარკეტინგის შესახებ თანხმობის გამოხატვით.

- **მესამე მხარეებისა და სხვა წყაროებისგან, სამართლებრივი საფუძვლების, მოთხოვნებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით:**

  - მესამე მხარეები (მაგალითად, საკრედიტო საინფორმაციო ბიურო, საზედამხედველო, სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები და იურიდიული პირები (მაგალითად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, შემოსავლების სამსახური), სხვა ფინანსური ინსტიტუტები, ინდივიდუალური მეწარმეები და იურიდიული პირები, საგადახდო მომსახურების პროვაიდერები და სხვა);
  - საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროები, მათ შორის, ბიზნეს რეესტრები, მოვალეთა რეესტრები და სხვა შესაბამისი რეესტრები.

როდესაც მონაცემთა სუბიექტი ბანკს აწვდის პერსონალურ მონაცემებს ან სხვა ინფორმაციას მესამე მხარის შესახებ, მონაცემთა სუბიექტი ადასტურებს, რომ მას მიღებული აქვს მესამე მხარისგან ყველა საჭირო თანხმობა და იღებს სრულ პასუხისმგებლობას ბანკის მიერ ამ მონაცემების დამუშავებაზე.

ქუქი-ფაილები

ჩვენ ვიყენებთ ქუქი-ფაილებს და ვაკვირდებით ჩვენი ვებ-გვერდის ვიზიტორების ქცევას, რათა უზრუნველვყოთ, რომ ჩვენს კლიენტებს შევთავაზოთ საუკეთესო პრაქტიკა ჩვენს ვებ-გვერდზე ვიზიტის დროს და მუდმივად გავაუმჯობესოთ მომსახურების ხარისხი. ჩვენ ვაგროვებთ ინფორმაციას ქუქი-ფაილების, ვიზიტორების ნავიგაციისა და ქცევის შესახებ ჩვენს ციფრულ არხებზე, კერძოდ:

- IP მისამართი, მოწყობილობის ტიპი, ოპერაციული სისტემა და ბრაუზერი, რომლის მეშვეობითაც ხდება ვებ-გვერდზე ვიზიტი;
- ჩვენს ვებ-გვერდზე გახსნილი გვერდები, სესიის ხანგრძლივობა და სხვა პარამეტრები;

- ინფორმაცია ჩვენს ვებ-გვერდზე განხორციელებული ქმედებების შესახებ: ფორმების შევსება, ვებ-გვერდის ინტერაქტიული ელემენტების გამოყენება და ა.შ.
- ვებ-გვერდის ველების შევსების პროცესი, დრო და წესი.

მოპოვებულ ინფორმაციას ჩვენ ვიყენებთ:

- ვებ-გვერდის სტატისტიკის შესაქმნელად და შესანახად პროცესების, ველებისა და ვებ-გვერდის დიზაინის ოპტიმიზაციისთვის;
- ვებ-გვერდის ვიზიტორების დასაცავად და თაღლითური ქმედებების თავიდან ასაცილებლად;
- ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსებისა და სხვა კრიმინალური საქმიანობის გამოსავლენად და თავიდან ასაცილებლად;
- ვებ-გვერდის ვიზიტორების ნაკადისა და მარკეტინგული კამპანიის კონტროლის შესაფასებლად;
- მიღებული ინფორმაცია გვეხმარება ვებ-გვერდისა და მისი კომპონენტების მომხმარებლების საჭიროებებზე მორგებაში;
- იმის დასადგენად, თუ როგორ სტუმრობენ ჩვენი მომხმარებლები ჩვენს ვებ-გვერდს.

სანამ ჩვენი ვებ-გვერდის გამოყენებას დაიწყებთ, შეგიძლიათ დაეთანხმოთ ქუქი-ფაილებს, ამასთან, მომხმარებლის ქცევის მონიტორინგი განახორციელდება „დამტკიცების“ ღილაკზე დაჭერით. თუ თქვენ არ ეთანხმებით „ქუქი-ფაილების პოლიტიკას“, თუმცა, მიუხედავად ამისა, აგრძელებთ ჩვენი ვებ-გვერდის გამოყენებას, ეს ქმედება მაინც ჩაითვლება თქვენი მხრიდან აღნიშნულ ქმედებაზე დათანხმებად.

ჩვენ არ ვიყენებთ ქუქი-ფაილებს და მომხმარებლის ქცევის მონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემებს პერსონალური ინფორმაციის შეგროვების მიზნით. თუ გსურთ ჩვენს ვებ-გვერდზე ქუქი-ფაილების შეზღუდვა ან მათი დაბლოკვა, ამის გაკეთებას შეძლებთ თქვენი ბრაუზერის პარამეტრების შეცვლის გზით. გარდა ამისა, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ მიერ შემოთავაზებული ზოგიერთი სერვისი მიუწვდომელი იქნება, თუ ქუქი ფაილს დაბლოკავთ ან წაშლით.

თქვენი უფლებები:

კანონის მოთხოვნების შესაბამისად და კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების გათვალისწინებით, თქვენ გაქვთ უფლება:

- მოითხოვოთ ბანკისგან დადასტურება, მუშავდება თუ არა თქვენთან დაკავშირებული მონაცემები და, მოთხოვნის შემთხვევაში, მიიღოთ დეტალები მონაცემებისა და დამუშავების შესახებ, რომელიც მოიცავს, თუმცა, არ შემოიფარგლება

ინფორმაციასა და დეტალებს იმის შესახებ, თუ ვინ ამუშავებს პირის ინფორმაციას, რა საშუალებებით, რა ვადით და რა გარანტიები და დამცავი ზომები არსებობს მისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

- მოითხოვოთ თქვენს პერსონალურ მონაცემებზე წვდომა და მათი ასლების მიღება.
- მოითხოვოთ ყალბი, არაზუსტი და/ან არასრული მონაცემების გასწორება, განახლება და/ან შევსება, რათა უზრუნველყოთ, რომ სუბიექტთან დაკავშირებული მონაცემები ყოველთვის ზუსტი, სწორი და განახლებული იყოს;
- მოითხოვოთ მონაცემების დამუშავების შეწყვეტა (მათ შორის, პროფაილინგის), წაშლა ან განადგურება. ბანკი განიხილავს თქვენს მოთხოვნას, თუმცა, მას უფლება აქვს უარი თქვას მოთხოვნაზე, თუ არსებობს შემდეგი გარემოებებიდან რომელიმე:
  - ამ მონაცემების დამუშავების ერთ-ერთი სამართლებრივი საფუძველი არსებობს;
  - მონაცემები მუშავდება სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასაბუთების მიზნით;
  - მონაცემთა დამუშავება აუცილებელია გამოხატვის ან ინფორმაციის თავისუფლების უფლების განსახორციელებლად;
  - მონაცემები მუშავდება კანონით გათვალისწინებული საჯარო ინტერესებისთვის არქივირების მიზნით, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისთვის და მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლების განხორციელება შეუძლებელს გახდის ან მნიშვნელოვნად დააზიანებს დამუშავების მიზნების მიღწევას.
- მოითხოვოს მონაცემთა დაბლოკვა, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი გარემოება:
  - მონაცემთა სუბიექტი სადავოს ხდის მონაცემების ნამდვილობას ან სიზუსტეს;
  - მონაცემთა დამუშავება უკანონოა, თუმცა მონაცემთა სუბიექტი ეწინააღმდეგება მათ წაშლას და ითხოვს მონაცემთა დაბლოკვას;
  - მონაცემები საჭირო აღარ არის მათი დამუშავების მიზნის მისაღწევად, თუმცა მონაცემთა სუბიექტს ისინი სჭირდება საჩივრის/სარჩელის წარსადგენად;
  - თქვენ მოითხოვთ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას, წაშლას ან განადგურებას და მიმდინარეობს ამ მოთხოვნის განხილვა;
  - არსებობს მონაცემების მტკიცებულებად გამოყენების მიზნით შენახვის აუცილებლობა.

ბანკი განიხილავს თქვენს მოთხოვნას, თუ მონაცემების დაბლოკვა საფრთხეს არ შეუქმნის შემდეგიდან ერთ-ერთს:

- კანონით ან/და კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულება;
- კანონის შესაბამისად საჯარო ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესრულება ან საქართველოს კანონმდებლობით დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელება;

- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის ლეგიტიმური ინტერესები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის, განსაკუთრებით არასრულწლოვანის, უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;
- მონაცემთა სუბიექტის ან მესამე მხარის სასიცოცხლო ინტერესების დაცვა, ასევე ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიზნებისთვის.

- კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით მონაცემთა ავტომატური დამუშავების შემთხვევაში, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია, თქვენ უფლება გაქვთ, ჩვენგან სტრუქტურიზებული, საზოგადოდ გამოყენებადი და მანქანურად წაკითხვადი ფორმატით მიიღოთ მის მიერ მიწოდებული მონაცემები ან მოითხოვოთ ამ მონაცემთა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის გადაცემა.
- თქვენ უფლება გაქვთ, არ დაექვემდებაროთ მხოლოდ ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე, მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც მისთვის წარმოშობს სამართლებრივ ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის მქონე შედეგს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროფაილინგის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება:
  - ეფუძნება თქვენს აშკარად გამოხატულ თანხმობას;
  - აუცილებელია თქვენსა და ჩვენს შორის ხელშეკრულების დასადებად ან ხელშეკრულების შესასრულებლად;
  - გათვალისწინებულია კანონით ან კანონის საფუძველზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.
- თქვენ უფლება გაქვთ, ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების ან დასაბუთების გარეშე გაიხმოთ თქვენი თანხმობა.
- თუ ირღვევა ამ კანონით გათვალისწინებული უფლებები და დადგენილი წესები, თქვენ გაქვთ უფლება მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, სასამართლოს და/ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს კანონით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ კანონის შესაბამისად, თქვენი გარკვეული უფლებები შეიძლება, რომ შეიზღუდოს, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით, იმ პირობით, რომ ეს არ დაარღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს და თუ ეს აუცილებელია და პროპორციულია თანაზომიერია საზოგადოებაში (გთხოვთ, დამატებითი ინფორმაციისა და გარკვეული პირობებისთვის იხილოთ შესაბამისი კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ[1]).

თქვენ შეგიძლიათ არ მოგვაწოდოთ გარკვეული პერსონალური მონაცემები, თუმცა, გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ ამან შესაძლოა გავლენა მოახდინოს ჩვენს შესაძლებლობაზე, მოგაწოდოთ შესაბამისი მომსახურება.

[1] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5827307?publication=9

თქვენი ზემოაღნიშნული უფლებების ეფექტურად განსახორციელებლად, შეგიძლიათ, გამოიყენოთ შემდეგი საკომუნიკაციო არხებიდან ნებისმიერი:

- დარეკოთ ჩვენს ქოლ ცენტრში: 0322 42 42 42; *4242
- გამოგვიგზავნოთ ელექტრონული წერილი შემდეგ მისამართზე: personaldata@credo.ge;
- პირადად ან წერილობით მიმართოთ ბანკის სერვის ცენტრს/ფილიალს პრობლემის მოსაგვარებლად;
- დაგვიკავშირდეთ ჩვენი ოფიციალური Facebook გვერდის საშუალებით: credo bank .

გარდა კანონით განსაზღვრული განსხვავებული/განსაკუთრებული ვადებისა და შემთხვევებისა, ჩვენ მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში დაგიბრუნდებით. განსაკუთრებულ შემთხვევებში და შესაბამისი დასაბუთების შემთხვევაში, ეს პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით, რის შესახებაც თქვენ, როგორც მონაცემთა სუბიექტს, შეგატყობინებთ. მონაცემთა გასწორების, განახლების, შევსების, შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების მოთხოვნის შემთხვევაში საპასუხოდ დადგენილი ვადა არის მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღე (თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი). რაც შეეხება მონაცემების დაბლოკვის მოთხოვნას, ამ შემთხვევაში აღნიშნული მოთხოვნა შესრულდება დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა. თანხმობის გამოხმობის შემთხვევაში, თქვენი მოთხოვნის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავება უნდა შეწყდეს ან/და დამუშავებული მონაცემები წაიშალოს ან განადგურდეს მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, თუ მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძველი არ არსებობს თქვენ თანხმობის გამოხმობამდე უფლება გაქვთ, ჩვენგან მოითხოვოთ და მიიღოთ ინფორმაცია თანხმობის გახმობის შესაძლო შედეგების შესახებ. თუ აღნიშნული მოთხოვნის გახმობა ხდება პირდაპირ მარკეტინგთან დაკავშირებით, მაშინ აღნიშნული ვადა წარმოადგენს გონივრულ ვადას, მაგრამ არაუგვიანეს 7 სამუშაო დღეს მოთხოვნის მიღებიდან.

პირდაპირ მარკეტინგთან დაკავშირებით კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს ბანკისგან კლიენტის პერსონალური მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის დამუშავების შეწყვეტა შემდეგი საშუალებებით: 90191 ნომერზე „NO“-ს გაგზავნით, ქოლ-ცენტრის *4242/0322424242 ნომრის გამოყენებით და შესაბამისი განაცხადის ბანკის სერვის ცენტრში წარდგენით. ასეთ შემთხვევაში, ბანკი შეწყვეტს კლიენტის პერსონალური მონაცემების დამუშავებას პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა და კლიენტი აღარ მიიღებს მასზე მორგებულ შეთავაზებებს.

თქვენი მონაცემების დამუშავება მობაილ ბანკში

ბანკის მობაილ ბანკინგის გამოყენებით, ბანკმა საბანკო პროდუქტის მიწოდების/მომსახურების გაწევის/შეთავაზებების მიწოდებისა, ფიზიკური პირის დისტანციური იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის მიზნით, ასევე, აპლიკაციის გამართული და ეფექტური

ფუნქციონირების, მომხმარებლის კმაყოფილების უზრუნველყოფის და მაქსიმალურად მასზე მორგებული სერვისის მისაწოდებლად, ანალიტიკის წარმოების მიზნით შესაძლოა, დაამუშავოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული თქვენი მაიდენტიფიცირებელი, საკონტაქტო, ბიომეტრიული, ლოკაციის, დოკუმენტური, მოწყობილობის მეხსიერებაში შენახული, აპლიკაციაში ატვირთული მონაცემები, თქვენ მიერ გამოყენებული მოწყობილობიდან წაკითხული ფოტოების, კამერით გადაღებული გამოსახულებების, ტელეფონის კონტაქტების, მუსიკალური ბიბლიოთეკის მონაცემები (მხოლოდ მომხმარებლის აქტივაციის შემთხვევაში), ასევე რეკლამისა და ანალიტიკის მიზნებისთვის გამოყენებული იდენტიფიკატორები (Google Advertising ID, C2DM, App Tracking Transparency) და/ან KYC პროცესის მონაცემები, რომლებიც აუცილებელია იდენტიფიკაციის, ავტორიზაციის, მომსახურების გაუმჯობესებისა და აპლიკაციის ფუნქციონალობის უზრუნველსაყოფად და ზემოთ მოყვანილი მიზნების ფარგლებში თქვენი მაიდენტიფიცირებელი და ბიომეტრიული მონაცემები, რაც აუცილებელია ჩემი იდენტიფიცირებისთვის, გადასცეს კომპანია - Identomat Inc, Delaware, USA; Registered office: 8 The Green, STE, A, the City of Dover, County of Kent, Zip Code 19901; საკონტაქტო ინფორმაცია - info@identomat.com; ვებ-საიტი - identomat.com. დამატებით თქვენი მხრიდან ატვირთული ქვითრებისა და ფოტოების სახით მოწოდებული მონაცემები შესაძლოა, დამუშავდეს „თანხის აგროვების“ სერვისის ფარგლებში (თქვენი მხრიდან სერვისის გამოყენების შემთხვევაში) — თქვენი ხარჯების კლასიფიკაციის, ვიზუალიზაციისა და ფინანსური ინფორმაციის მოწესრიგების მიზნით. აღნიშნული მონაცემები არ იქნება გამოყენებული ავტომატური გადაწყვეტილებების მისაღებად და ბანკი აღნიშნულ მონაცემებს არ გადასცემს მესამე პირებს.

თქვენ შეგიძლიათ გაიხმოთ თანხმობა და/ან მოითხოვოთ თქვენი მონაცემების წაშლა მობაილ ბანკინგში მოთხოვნის გამოგზავნით. თქვენი მოთხოვნის მიღების შემდეგ, ჩვენ დაგამატებთ შესაბამის სიაში და თქვენი მონაცემების გადაცემა არ მოხდება სხვა აპლიკაციებისთვის (მეტი დეტალისთვის იხილეთ „თქვენი უფლებები“).

აპლიკაციაში დარეგისტრირებით, თქვენ ადასტურებთ, რომ ნებაყოფლობით და თქვენი სურვილით ახდენთ აღნიშნული მონაცემების მითითებას და იძლევით თანხმობას აღნიშნული პერსონალური მონაცემების მხოლოდ ზემოთ მოყვანილი მიზნ(ებ)ის ფარგლებში დამუშავებაზე, რაც ასევე წარმოადგენს ბანკის მიერ მონაცემების დამუშავების კანონმდებლობით განსაზღვრულ სამართლებრივ საფუძველს (თანხმობა). გაცნობებთ, რომ თქვენი მხრიდან მონაცემების მოწოდება და თანხმობა სავალდებულო და აუცილებელია, რათა ჩვენი მხრიდან შესაბამისი მომსახურების გაწევა/ხელშეკრულების დადება მოხდეს, გარდა იმ ელემენტებისა, სადაც თქვენი სურვილითა და არჩევანით ააქტიურებთ აპლიკაციის რომელიმე ოფციას (რადგან აღნიშნული ოფციების გააქტიურება თქვენი სურვილით ხდება, შესაბამისად ეს ოფციები და მის ფარგლებში დამუშავებული მონაცემები არ წარმოადგენს სავალდებულოდ მისაწოდებელ მონაცემებს). დამუშავებული ინფორმაცია ბანკში ინახება მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია ინფორმაციის დამუშავების მიზნის მისაღწევად კანონმდებლობითა და ბანკის წესებით დადგენილი შენახვის ვადების გათვალისწინებით. რაც შეეხება ბიომეტრიულ მონაცემებს, ბიომეტრიული მონაცემ(ებ)ი დაგენერირდება მხოლოდ დისტანციური იდენტიფიკაციის პროცესში გადაღებული ფიზიკური პირის ფოტოსა და დოკუმენტზე არსებული ფოტოს შედარების პროცესში და მსგავსების კოეფიციენტის დადგენისთავანე (არაუმეტეს 10 წამისა) წაიშლება იმგვარად, რომ შეუძლებელია მისი აღდგენა. გარდა წინამდებარე დოკუმენტის

პირველ პარაგრაფში მითითებული კომპანიისთვის - Identomat Inc მონაცემების გადაცემისა და კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა, პერსონალური მონაცემები არ გადაეცემათ მესამე პირებს და არ ხდება საერთაშორისო გადაცემა.

თქვენი უფლებების დაცვისთვის, უფლებებთან დაკავშირებით, გთხოვთ, იხილოთ ზემოთ მოცემული ნაწილი „თქვენი უფლებები“.

როგორ ვიყენებთ თქვენს ინფორმაციას ავტომატიზებული გადაწყვეტილებების მისაღებად (პროფაილინგი)

ავტომატიზებული გადაწყვეტილებების მისაღებად, ჩვენ ზოგჯერ ვიყენებთ ჩვენს ხელთ არსებულ პერსონალურ მონაცემებს, თქვენ კი უფლება გაქვთ, არ დაექვემდებაროთ მხოლოდ ავტომატიზებულად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე, მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც თქვენთვის წარმოშობს სამართლებრივ ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის მქონე შედეგს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროფაილინგის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება:

- ეფუძნება თქვენს აშკარად გამოხატულ თანხმობას;
- აუცილებელია თქვენსა და ჩვენს შორის ხელშეკრულების დასადებად ან ხელშეკრულების შესასრულებლად;
- გათვალისწინებულია კანონით ან კანონის საფუძველზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

ეს გვეხმარება უზრუნველვყოთ, რომ ჩვენი გადაწყვეტილებები იყოს სწრაფი, სამართლიანი და ეფექტიანი. ავტომატიზებულ გადაწყვეტილებებს შეუძლიათ, გარკვეული გავლენა მოახდინონ ჩვენს მიერ ამჟამად შემოთავაზებული ან მომავალში შემოთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების ხარისხზე.

ქვემოთ მოცემულია ჩვენს მიერ მიღებული ავტომატიზებული გადაწყვეტილებების ტიპები:

ფრაისინგი

შესაძლოა, ზოგიერთი პროდუქტისა და მომსახურების ფასი ჩვენთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე დავადგინოთ.
პროდუქტებისა და მომსახურების კლიენტების საჭიროებებზე მორგება

ჩვენ ჩვენს კლიენტებს შესაბამის ჯგუფებად ვყოფთ, რომლებსაც კლიენტთა სეგმენტებს ვუწოდებთ. ამ ჯგუფებს ვიყენებთ ჩვენი კლიენტების საჭიროებების შესასწავლად და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, თქვენთვის სასარგებლო და ხელსაყრელი გადაწყვეტილებების მისაღებად. ეს გვეხმარება სხვადასხვა კლიენტთა სეგმენტისთვის პროდუქტებისა და მომსახურების შემუშავებასა და მათთან ურთიერთობის მართვაში.

თაღლითობის გამოვლენა

ჩვენ ვიყენებთ თქვენს პერსონალურ ინფორმაციას იმის დასადგენად, შეიძლება თუ არა თქვენი ანგარიშების გამოყენება თაღლითობის ან ფულის გათეთრებისთვის. ასევე, შესაძლოა გამოვავლინოთ, რომ ანგარიში გამოიყენება არასწორად. თუ თაღლითობის რისკს გამოვავლენთ, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, თქვენი უსაფრთხოების მიზნით შევაჩეროთ საეჭვო ანგარიშებზე ტრანზაქციები ან უარი ვთქვათ მათზე წვდომაზე/დავაუაროთ შესაბამისი მომსახურება.

ანგარიშების გახსნა

როდესაც ჩვენთან ხსნით ანგარიშს, ჩვენ ვამოწმებთ, არის თუ არა პროდუქტი ან მომსახურება თქვენთვის შესაბამისი, ჩვენთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე. ასევე ვამოწმებთ, აკმაყოფილებთ თუ არა თქვენ ან თქვენი ბიზნესი ანგარიშის გასახსნელად საჭირო პირობებს.

სესხის დამტკიცება

ჩვენ ვიყენებთ სისტემას იმის გადასაწყვეტად, დავამტკიცოთ თუ არა თქვენი საკრედიტო განაცხადი, იქნება ეს სესხი თუ საკრედიტო ბარათი. ამას საკრედიტო ქულა ეწოდება. ის იყენებს წარსულ მონაცემებს იმის პროგნოზირებისთვის, თუ სავარაუდოდ როგორ იმოქმედებთ კრედიტის დაფარვისას.

საკრედიტო ქულა იყენებს მონაცემებს სამი წყაროდან:

- თქვენი განაცხადის ფორმა ;
- საკრედიტო ინფორმაციის სააგენტოები;
- ჩვენთვის ხელმისაწვდომი მონაცემები.

ვის ვუზიარებთ თქვენს პერსონალურ ინფორმაციას (ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე)

ჩვენ შესაძლოა, თქვენი პერსონალური მონაცემების გაზიარება მოგვიწიოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში ან სხვა კომპანიებთან, რომლებიც გაწვდიან თქვენ მიერ არჩეულ პროდუქტს ან მომსახურებას. აქ მოცემულია ის მხარეები, რომლებთანაც შესაძლოა, გაზიარდეს თქვენი ინფორმაცია:

- **მომსახურების მიწოდებისა და ტრანზაქციების განხორციელების მიზნით,** თქვენი ინფორმაცია შეიძლება, გაზიარდეს შესაბამის მხარეებთან, როგორიცაა უფლებამოსილი წარმომადგენლები, იურიდიული პირები და გადახდის სერვისის პროვაიდერები, გადახდის სისტემის ოპერატორები, ბანკთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი დისტანციური არხები/გადახდის ინსტრუმენტები, კლიენტისთვის მომსახურების გაწევისთვის აუცილებელი ინფორმაცია (კლიენტის პერსონალური მონაცემები) (მათ შორის, სხვადასხვა საბანკო/საკრედიტო პროდუქტების შეთავაზება), რომლებიც, თავის მხრივ, იღებენ ვალდებულებას დაიცვან ბანკის მიერ მოწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა. მათ შორის, მესამე მხარეები (რომლებიც ახორციელებენ პირების იდენტიფიკაციას/ვერიფიკაციას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მომსახურების გაწევის მიზნით), ასევე სადაზღვევო კომპანიები, კლიენტისთვის შესაბამისი სადაზღვევო მომსახურების მიღების მიზნით.
- **სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად,** ჩვენ შეიძლება თქვენი მონაცემები გავუზიაროთ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, სასამართლო, მარეგულირებელ ორგანოებსა და სამართალდამცავ ორგანოებს, ასევე სხვა პირებს, რომლებიც ასრულებენ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საზოგადოებრივი ინტერესების სფეროსთვის დაკისრებულ ამოცანებს (მათ შორის დანაშაულის პრევენცია, დანაშაულის გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა, მართლმსაჯულების განხორციელება და ა.შ.), როგორც ამას მოითხოვს საქართველოს კანონმდებლობა ან სხვა მოქმედი კანონმდებლობა. ეს მოიცავს სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობას, აუდიტისა და გამოძიების ვალდებულებების შესრულებას. გარდა ამისა, თქვენი პერსონალური ინფორმაცია შეიძლება, გაზიარდეს კანონით განსაზღვრულ პირებთან, როგორიცაა საკრედიტო ანგარიშგების სააგენტოები და ორგანიზაციები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ფინანსური ტრანზაქციებისა და საკრედიტო შეფასებების ზედამხედველობაზე.
- **საკრედიტო ინფორმაციასთან და ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობასთან დაკავშირებით,** ჩვენ ვუზიარებთ საკრედიტო ბიუროებს საკრედიტო შეფასების, ანგარიშგებისა და სამართლებრივი შესაბამისობის ხელშესაწყობად. ამ ბიუროებს, თავის მხრივ, შეუძლიათ გაუზიარონ ინფორმაცია სხვა უფლებამოსილ პირებს, შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. გარდა ამისა, მონაცემები შეიძლება გაზიარდეს საკორესპონდენტო და შუამავალ ბანკებთან, ასევე სხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან, საერთაშორისო ტრანზაქციებისა და მასთან დაკავშირებული ფინანსური ოპერაციების ხელშეწყობის მიზნით. გარდა ამისა, მონაცემები შეიძლება გაზიარდეს საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან, ბანკისგან დაფინანსების მისაღებად.
- **მომსახურების მიმწოდებლებსა და ბიზნეს პარტნიორებთან დაკავშირებით,** თქვენი მონაცემები შეიძლება გაზიარდეს გარე IT და ქლაუდ მომსახურების მიმწოდებლებთან, გარეშე პროფესიონალებთან, როგორიცაა იურიდიული მრჩევლები, აუდიტორული კომპანიები და კონსულტანტები, რათა დაეხმარონ ბიზნეს ოპერაციებში და უზრუნველყონ სამართლებრივი მოთხოვნების დაცვა. გარდა ამისა, თაღლითობის წინააღმდეგ საბრძოლველად და თავიდან ასაცილებლად, თქვენი

მონაცემები შეიძლება გაზიარდეს შესაბამისი თაღლითობის გამოვლენისა და პრევენციის სპეციალიზებულ სააგენტოებთან. შესაბამისი შეთანხმებების მართვასთან დაკავშირებით, მათ შორის ტრასტებთან, ინვესტორებთან, ფინანსურ მრჩევლებთან და იურისტებთან ურთიერთობისას. ინფორმაცია შეიძლება გაზიარდეს შემფასებელ კომპანიებთან და ნებისმიერ სხვა მესამე მხარესთან. თქვენთვის სხვადასხვა მომსახურების (მათ შორის შეფასების, შეფასების პროდუქტების/მომსახურების) შეთავაზებისა და მიწოდების მიზნით.

- **ბანკის გაყიდვის, შერწყმის ან რესტრუქტურიზაციის შემთხვევაში,** თქვენი მონაცემები შეიძლება გაზიარდეს ამ გარიგეგებში ჩართულ მხარეებთან. ამ მხარეებს მოეთხოვებათ დაიცვან ჩვენი მონაცემთა დაცვის სტანდარტები და კონფიდენციალურობის შესახებ შეთანხმებები. გარდა ამისა, თქვენი მონაცემები შეიძლება გადაეცეს ჩვენი ჯგუფის სხვა სუბიექტებს მომსახურების მიწოდების, პროდუქტის შემუშავებისა და ოპერაციული საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.
- **კურიერულ კომპანიებს,** თქვენთვის შესაბამისი კორესპონდენციის გასაგზავნად/მიწოდების მიზნით.
- თქვენი თანხმობისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, **სხვა მესამე მხარეებს.**
- ნებისმიერი უცხო სახელმწიფოს და/ან საერთაშორისო ორგანიზაციას/მომსახურებას და/ან უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ ნებისმიერ კომპანიას კლიენტისთვის ნებისმიერი საბანკო მომსახურების მიწოდების/გაუმჯობესების, კანონით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების და/ან ბანკის სხვა კანონიერი ინტერესების განხორციელების მიზნით, თუ არსებობს მონაცემთა დამუშავების საფუძველი, რომელიც გათვალისწინებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და მიმღებ სახელმწიფოში და/ან ნებისმიერ უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ საერთაშორისო ორგანიზაციაში/ოფისში და/ან კომპანიებში, უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის შესაბამისი გარანტიები.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მოცემული სია არ არის ამომწურავი და ჩართული მესამე მხარეების რაოდენობა შეიძლება განსხვავდებოდეს. თუმცა, ბანკი დაიცავს პერსონალური მონაცემების დამუშავების სტანდარტებს მოქმედი კანონმდებლობისა და სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

ბანკს შეუძლია პერსონალური მონაცემების გადაცემა ნებისმიერი მესამე პირისთვის, თუ აღნიშნული გადაცემა აუცილებელია ბანკის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად, კლიენტის წინააღმდეგ ნებისმიერი სახის მოთხოვნის მესამე პირისთვის დაკისრებისთვის (მათ შორის, აღნიშნულ მესამე პირთან მოლაპარაკებების პროცესში), კლიენტის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისთვის და/ან კლიენტისთვის ნებისმიერი სახის მომსახურების/პროდუქტის მიწოდების მიზნით, შეთავაზების გასაკეთებლად და/ან ნებისმიერი სახის ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

ბანკს შეუძლია პერსონალური მონაცემების გადაცემა ნებისმიერი მესამე პირისთვის, კლიენტისთვის საბანკო მომსახურების მიწოდების, კლიენტის მონიტორინგის ან კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების, ბანკთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით ტრანზაქციის დადების ან ბანკის სხვა ლეგიტიმური ინტერესების დაცვის მიზნით, მათ შორის, როდესაც ბანკი იყენებს მესამე მხარის პროდუქტს/მომსახურებას

კომერციული საქმიანობის განხორციელების მიზნით და როდესაც მესამე პირების ჩართულობა აუცილებელია ბიზნეს საქმიანობის ეფექტური მართვისთვის.

პირდაპირი მარკეტინგის მიზნით თქვენი მონაცემების დამუშავება

ჩვენ შეიძლება - თუ ასეთ მონაცემთა დამუშავებაზე გამოხატული გაქვთ თანხმობა - გამოვიყენოთ თქვენი პერსონალური მონაცემები (მათ შორის, უფლებამოსილი პირის მეშვეობით), რათა მოგაწოდოთ ინფორმაცია შესაბამის პროდუქტებსა და შეთავაზებებზე, შევაფასოთ, რა შეიძლება გსურდეთ ან რა იყოს თქვენი საჭიროება, ან რა შეიძლება იყოს თქვენთვის საინტერესო. ამ ფორმით ვწყვეტთ, რომელი პროდუქტები, მომსახურება და შეთავაზებები შეიძლება იყოს თქვენთვის შესაბამისი. თქვენი პერსონალური მონაცემების გამოყენება პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში შეგვიძლია, თუ გვაქვს თქვენი თანხმობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პერსონალური მონაცემების დამუშავება პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის ნებაყოფლობითია. კლიენტის უარი პერსონალური მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის დამუშავებაზე გავლენას არ მოახდენს ბანკის მიერ კლიენტისთვის მომსახურების მიწოდებაზე.

თქვენ გაქვთ უფლება, ნებისმიერ დროს გააუქმოთ თქვენი თანხმობა და მოითხოვოთ კლიენტის პერსონალური მონაცემების დამუშავების შეწყვეტა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის, ისევე როგორც პირდაპირი მარკეტინგი ხორციელდება ან ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა ხელმისაწვდომი და ადეკვატური საშუალებით. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ შევწყვეტთ თქვენი პერსონალური მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის დამუშავებას მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღისა (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ზემოთ „თქვენი უფლებები“).

თქვენი უსაფრთხოება და კომფორტი ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ამიტომ, თქვენ კვლავ მიიღებთ სერვისთან დაკავშირებულ შეტყობინებებს სერვისების ცვლილებების შესახებ და მომსახურების კუთხით, რამდენადაც მსგავსი საინფორმაციო ხასიათის შეტყობინებები/ცნობები კანონმდებლობის მიხედვით არ ითვლება პირდაპირ მარკეტინგად.

ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება

გარკვეული პროცესების ფარგლებში თქვენი ბიომეტრიული მონაცემები შეიძლება დამუშავდეს საბანკო პროდუქტების მიწოდების/მომსახურების გაწევის/შეთავაზებების მიწოდების და ფიზიკური პირის დისტანციური იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის მიზნით და ზემოაღნიშნული მიზნების ფარგლებში, მაიდენტიფიცირებელი და ბიომეტრიული მონაცემები გადაეცემა კომპანიას - Identomat Inc, დელავერი, აშშ; იურიდიული მისამართი: 8 The Green, STE, A, the City of Dover, County of Kent, Zip Code 19901,

საკონტაქტო ინფორმაცია - info@identomat.com; website - identomat.com. თქვენი პერსონალური მონაცემები შესაძლოა, დამუშავდეს კრედო ბანკის მიერ, მხოლოდ თქვენი თანხმობის ტექსტში მოცემული მიზნის ფარგლებში. ამ დოკუმენტზე თანხმობით, ადასტურებთ, რომ ნებაყოფლობით და თქვენი სურვილით ახდენთ აღნიშნული მონაცემების მითითებას და იძლევით თანხმობას აღნიშნული პერსონალური მონაცემების მხოლოდ ზემოთ მოყვანილი მიზნ(ებ)ის ფარგლებში დამუშავებაზე, რაც ასევე წარმოადგენს ჩვენ მიერ მონაცემების დამუშავების კანონმდებლობით განსაზღვრულ სამართლებრივ საფუძველს (თანხმობა). გაცნობებთ, რომ თქვენი მხრიდან მონაცემების მოწოდება და თანხმობა სავალდებულო და აუცილებელია, რათა ჩვენი მხრიდან შესაბამისი მომსახურების გაწევა/ხელშეკრულების დადება მოხდეს. დამუშავებული ინფორმაცია ბანკში ინახება მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია ინფორმაციის დამუშავების მიზნის მისაღწევად კანონმდებლობითა და ბანკის წესებით დადგენილი შენახვის ვადების გათვალისწინებით. რაც შეეხება ბიომეტრიულ მონაცემებს, ბიომეტრიული მონაცემ(ებ)ი დაგენერირდება მხოლოდ დისტანციური იდენტიფიკაციის პროცესში გადაღებული ფიზიკური პირის ფოტოსა და დოკუმენტზე არსებული ფოტოს შედარების პროცესში და მსგავსების კოეფიციენტის დადგენისთავანე (არაუმეტეს 10 წამისა) წაიშლება იმგვარად, რომ შეუძლებელია მისი აღდგენა. გარდა წინამდებარე დოკუმენტის პირველ პარაგრაფში მითითებული კომპანიისთვის - Identomat Inc მონაცემების გადაცემისა და კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა, პერსონალური მონაცემები არ გადაეცემათ მესამე პირებს და არ ხდება საერთაშორისო გადაცემა. თქვენი უფლებების დაცვისთვის, უფლებებთან დაკავშირებით, გთხოვთ, იხილოთ ზემოთ მოცემული ნაწილი „თქვენი უფლებები“.

აუდიო და ვიდეო მონიტორინგის შესახებ მონაცემების დამუშავება

ბანკმა შესაძლოა მონაცემები დაამუშაოს აუდიო-ვიდეო მონიტორინგის ფარგლებში შემდეგი მიზნებით - დანაშაულის პრევენცია და გამოვლენა, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, პირთა უსაფრთხოებისა და ქონების დაცვა, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა და ინციდენტის შემთხვევაში მტკიცებულების მოპოვება. ვიდეოკამერის ხმის ჩაწერა ხდება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში: დანაშაულის აღკვეთისას ან როცა საფრთხე ექმნება სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას. ფილიალში/ქოლ-ცენტრის ზარების აუდიოჩაწერის მიზანია ხარისხის გაუმჯობესება, კლიენტთან კომუნიკაციისა და მისი დავალებების დაფიქსირება, პრეტენზიების ობიექტური განხილვა და თაღლითობის გამოვლენა. გარდა ზემოთ მოყვანილისა დამუშავების სამართლებრივი საფუძველია ბანკის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესი, რაც მოიცავს ბანკის ქონების, თანამშრომლებისა და კლიენტების უსაფრთხოების დაცვას, დანაშაულისა და თაღლითობის გამოვლენას, მტკიცებულების შენარჩუნებას და კლიენტთან კომუნიკაციის დაფიქსირებას.

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი აუდიო-ვიდეო ჩაწერა სავალდებულო, აუცილებელი და პროპორციულია ან/და არ არსებობს კანონმდებლობით განსაზვრული შესაბამისი საფუძველი მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს უარი თქვას აღნიშნულზე. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ვიდეოჩანაწერები ინახება 30 დღე, VOIX სისტემის აუდიოჩანაწერები 3 თვე, ხოლო ქოლ-ცენტრის ზარების ჩანაწერები 15 წელი კანონმდებლობის შესაბამისად. ჩანაწერები მესამე პირებს, კერძოდ

სასამართლოს, პროკურატურასა და საგამოძიებო ორგანოებს, გადაეცემა მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ამასთან, საერთაშორისო გადაცემა არ ხდება. კითხვების ან მოთხოვნების შემთხვევაში მიმართეთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს მისამართზე personaldata@credo.ge. თქვენი უფლებების დაცვისთვის, უფლებებთან დაკავშირებით, გთხოვთ, იხილოთ ზემოთ მოცემული ნაწილი „თქვენი უფლებები“.

აპლიკანტებთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება

რეზიუმე, რომელსაც ბანკში წარადგენთ, შესაძლოა, შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც აუცილებელია იმისთვის, რომ ბანკის მიერ თქვენი კანდიდატურის განხილვა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ სახელშეკრულებო (მათ შორის, შრომითი) ურთიერთობის დამყარების მიზნით. პერსონალური მონაცემების მიწოდება სავალდებულოა, ვინაიდან ამ მონაცემების გარეშე თქვენი კანდიდატურის განხილვა ვერ მოხდება. თქვენი პერსონალური მონაცემები დამუშავდება მხოლოდ საჭირო მოცულობით და მხოლოდ ზემოთ მოყვანილი მიზნ(ებ)ის ფარგლებში და აღნიშნული მონაცემები არ გადაეცემათ მესამე პირებს. რეზიუმეს წარდგენით ადასტურებთ, რომ მონაცემებს ნებაყოფლობით აწვდით ბანკს, რაც ჩვენ მიერ მონაცემების დამუშავების კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი საფუძველია (თანხმობა).

თქვენი რეზიუმე შესაძლოა, ბანკმა არ განიხილოს კონკრეტული ვაკანსიის ფარგლებში პოზიციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, თუმცა შესაძლოა, შენახული და განხილული იქნას სხვა რელევანტური ვაკანსიების ფარგლებში. გარკვეულ შემთხვევებში, პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე უფლებამოსილი პირია რეკრუტინგ პლატფორმა — Helio AI LLC-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 406404163, იურიდიული მისამართი: მიხეილ გახოკიძის ქ. N54დ, თბილისი, საქართველო, საკონტაქტო ინფორმაცია – [https://www.helio-ai.com/], რომელიც მონაცემებს მხოლოდ რეკრუტინგის მიზნით და მხოლოდ საჭირო მოცულობით დაამუშავებს (Helio.AI-ს სერვერები, რომლებზეც აღნიშნული მონაცემები შეინახება დადგენილი პროცედურის შესაბამისად, განთავსებულია გერმანიაში). წარდგენილი რეზიუმეები შესაძლოა, შენახულ იქნეს მაქსიმუმ ერთი წლით. თქვენი უფლებების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ, იხილოთ ზემოთ მოცემული „თქვენი უფლებების“ თავში.

რამდენ ხანს ვინახავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს?

თქვენს პერსონალურ მონაცემებს ვინახავთ მხოლოდ იმ პერიოდის განმავლობაში, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად, კანონმდებლობით დადგენილი შენახვის ვადების (თქვენთვის მოწოდებული მომსახურების მთელი ვადის განმავლობაში და, ასევე, ბანკში კლიენტთან დაკავშირებული ელექტრონული ფორმით არსებული ინფორმაცია მინიმუმ 15 წლის განმავლობაში) და ბანკის პოლიტიკების გათვალისწინებით.

ცვლილებები პოლიტიკასა და საკონტაქტო ინფორმაციაში

ეს დოკუმენტი შესაძლოა, პერიოდულად განახლდეს. განახლებული ვერსია გამოქვეყნდება ჩვენს ვებ-გვერდზე, უახლესი ცვლილების თარიღის მითითებით.

პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის ან შეკითხვის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ბანკის პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერს შემდეგ მისამართზე personaldata@credo.ge. ასევე შეგიძლიათ ესაუბროთ ჩვენს ონლაინ კონსულტანტს(www.credobank.ge), დაგვიკავშირდეთ 24 საათის განმავლობაში, კვირაში 7 დღე ნომერზე (+995 32) 242 42 42, ასევე, შეგიძლიათ, დაგვიკავშირდეთ ინტერნეტ ან მობაილ ბანკის საშუალებით ან ეწვიოთ ჩვენს ნებისმიერ ფილიალს.